

THEATER AND GEORGIAN IDENTITY (WITH THE REPRESENTATION OF „IVERIA“)

თეატრი და ქართული იდენტობა („ივერის“ მიხედვით)

Ketevan Mania

Doctor of History

Senior- research associate

Ivane Javakhishvili Tbilisi State University.

Institute of Georgian History

ORCID ID: 0000-0002-0751-7577

(+995)599472418. ketevan.mania@gmail.com

Abstract

Theater was of particular importance for the survival of Georgian identity because during the period of Russian rule, theater was not only a place of recreation, but also a means of public use of the national language.

In terms of denationalization of Georgians, theater was to become the main means for maintaining identity, awakening society and strengthening national consciousness, that is, Georgian theater was to create a space of new national understanding of identity.

Based on the above, I present the history of Georgian theater from a different perspective by analyzing the publications of the printed media of Iberia. The various materials give the discussions of plays staged on the Georgian scene, as well as the critical analysis of the performances, plays and works of the artists. In addition, the media covered information about past performances and performance promoters.

The rich and varied publications confirm the special importance of Georgian theater in the struggle for preserving Georgian identity. The performances were given in Georgian, and the evening was followed by a recitation of Georgian poetry, which inflamed and enhanced the sentiments of the quite big audience. Moreover, often the performances were charitable: they helped poor students as well as those affected by floods, or supported the establishment of schools or library. Such facts should have served as an example for the whole of Georgia.

Thus, the theater was in many ways involved in the national cause: it raised the spirit of the guests, made charity acts, and affirmed and bonded the Georgian identity.

Key Words: theater, identity, printed media, “Iveria”.

ქეთევან მანია

ისტორიის დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის
უფროსი მეცნიერ თანამშრომელი
ORCID ID: 0000-0002-0751-7577
(+995)599472418. ketevan.mania@gmail.com

აბსტრაქტი

თეატრს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ქართული იდენტობის გადარჩენისთვის, ვინაიდან რუსული მმართველობის პერიოდში თეატრი არა მარტო დასვენების ადგილს, არამედ ნაციონალური ენის საჯარო გამოყენების საშუალებას წარმოადგენდა.

ქართველთა დენაციონალიზაციის პირობებში თეატრი უნდა გამხდარიყო იდენტობის შენარჩუნების უმთავრეს საშუალებად, გამოეფხიზლებინა საზოგადოება და განემტკიცებინა ეროვნული ცნობიერება. ე.ი. ქართულ თეატრს უნდა შეექმნა იდენტობის ახალი ნაციონალური მეხსიერების ადგილი.

აღნიშნულიდან გამომდინარე განსხვავებული რაკურსით წარმოვადგენ ქართული თეატრის ისტორიას ბეჭდური მედიის - ივერიის პუბლიკაციების ანალიზით. მასალათა მრავალფეროვნებაში მოცემულია ქართულ სცენაზე შესრულებულ წარმოდგენებზე მსჯელობა, პიესების, შემსრულებლების ხელოვნების კრიტიკული გარჩევა. ამასთან, მედიაში გაშუქებულია გამართული წარმოდგენების და წარმოდგენების ხელშემწყობთა შესახებ ინფორმაციები.

მდიდარი და მრავალფეროვანი პუბლიკაციები გვიდასტურებს ქართული თეატრის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ქართველობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში. წარმოდგენები იმართებოდა ქართულად, წარმოდგენის შემდეგ სადამო გრძელდებოდა ქართული ლექსების კითხვით, რაც ბლომად შეკრებილ საზოგადოებას სენტიმენტებს უღვივებდა და უძლიერებდა. გარდა ამისა, წარმოდგენები ხშირ შემთხვევაში საქველმოქმედო ხასიათს ატარებდა: ეხმარებოდნენ ღარიბ მოსწავლეებს, აგრეთვე წყალდიდობით დაზარალებულებს, სკოლისა თუ სამკითხველოს დაარსებას უწყვედნენ შემწეობას. ასეთი ფაქტები მისაბაძი უნდა გამხდარიყო სრულიად საქართველოსთვის.

ამდენად, თეატრი მრავალმხრივ ეწეოდა ეროვნულ საქმეს: აჯანსაღებდა დამსწრე საზოგადოების სულს, ეწეოდა ქველმოქმედებას, ადგენდა და აკავშირებდა ქართულ იდენტობას.

საკვანძო სიტყვები: თეატრი, იდენტობა, ბეჭდური მედია, „ივერია“.

შესავალი

კულტურა იდენტობის გამოკვეთილი მახასიათებელია. ამიტომაც სათანადო ადგილი ეთმობა მედიის ფურცლებზე კულტურული მახასიათებლების, მათ შორის თეატრის მნიშვნელობაზე მსჯელობას ქართული იდენტობის შენარჩუნების თვალსაზრისით. მ. ჩხარტიშვილთან თანაავტორობით გამოქვეყნებულ ადრინდელ ნაშრომში აღვნიშნავდით:

„თეატრს განსაკუთრებული ადგილი უკავია ნაციონალისტური რენესანსის დროს, რადგან ნაციონალური ენის საჯარო გამოყენების საშუალებას იძლევა. თეატრის, როგორც გართობის, უბრალოდ დასვენების საშუალების გაგება უცხო იყო მეცხრამეტე საუკუნის ქართველი ნაციონალისტებისათვის, რომელთაც წილად ხვდათ ყოფილიყვნენ ქართული ერთობის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი პროცესის აქტორები... თეატრი საჯარო სივრცეს წარმოადგენდა, რომელიც ეროვნული იდეის გახმოვანებას უნდა მომსახურებოდა (ჩხარტიშვილი, მანია, 2011: 384, 508).

ე.ი. ქართველთა დენაციონალიზაციის პირობებში თეატრი უნდა გამხდარიყო იდენტობის შენარჩუნების უმთავრესი საშუალება, გამოეფხიზლებინა საზოგადოება და განემტკიცებინა ეროვნული ცნობიერება. ქართულ თეატრს უნდა შეექმნა იდენტობის ახალი ნაციონალური მეხსიერების ადგილი.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთი ნაშრომი გამოქვეყნდა ქართული თეატრის მნიშვნელობის შესახებ. ქართულმა თეატრმა განსაკუთრებული ფუნქცია შეიძინა რუსიფიკატორული პოლიტიკის პირობებში – იდეოლოგიური ბრძოლის იარაღად იქცა. რუსიფიკატორული პოლიტიკის უმძიმეს პირობებში თეატრი იყო ნაციონალიზმის მატარებელი ერთერთი მძლავრი იარაღი ნაციონალური ღირებულებების შესანარჩუნებლად. აფხაზეთის ქართული თეატრის ამგვარ მისიაზე მსჯელობს ე. ქაჯაია (ქაჯაია, 2006) და ც. ჩხარტიშვილი (ჩხარტიშვილი, 2010: 64-76). თეატრის როლი საზოგადოებაში და მისი ეკლესიური შეფასება საინტერესოდ არის წარმოდგენილი რ. ლოხიშვილის ნაშრომში, სადაც შესწავლილია სხვადასხვა ეპოქაში თეატრისადმი ეკლესიის დამოკიდებულების საკითხი (ლოხიშვილი, 2013: 133-153; 87-98). გაანალიზებულ იქნა ილია ჭავჭავაძის ღვაწლი ქართული თეატრის აღორძინების საქმეში (კიკნაძე, 1978:7-13).

მეთოდები

წინამდებარე ნაშრომში ეთნოსიმბოლისტური მეთოდოლოგიური მიდგომით გაანალიზებულია ქართული თეატრის ისტორია. საზოგადოებრივ პერცეფციებზე, ღირებულებებზე, მახსოვრობებზე დაკვირვებით წარმოდგენილია ქართული თეატრის მნიშვნელობა იდენტობის ისტორიისათვის. ამ თვალსაზრისით გაანალიზებულია ქართული ბეჭდური მედიის

„ივერიის“ პუბლიკაციები. ნაშრომი საკითხის ამგვარი დასმის პირველ მცდელობას წარმოადგენს ქართულ ისტორიოგრაფიაში.

შედეგები

საზოგადოებრივ პერცეფციებზე, ღირებულებებზე, მახსოვრობებზე დაკვირვებით გამოვლინდა, რომ თეატრი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქართული იდენტობის გადარჩენისათვის ბრძოლაში. თეატრი მრავალმხრივ ეწეოდა ეროვნულ საქმეს: აჯანსაღებდა დამსწრე საზოგადოების სულს, ეწეოდა ქველმოქმედებას, ადგენდა და აკავშირებდა ქართულ ერთობას.

მსჯელობა

ი. ჭავჭავაძის რედაქტორობით გამომავალი „ივერიის“ პუბლიკაციები შეეხება თეატრთან დაკავშირებულ ყველა საკითხს იქნება ეს თეატრის მნიშვნელობაზე საუბარი მკითხველებთან, რომელიც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა დენაციონალიზაციის პირობებში, თუ ქართულ სცენაზე შესრულებულ წარმოდგენებზე მსჯელობა, პიესების, შემსრულებლების ხელოვნების კრიტიკული გარჩევა. ამასთან, მედიაში გამუქებულია გამართული წარმოდგენების და წარმოდგენების ხელშემწყობთა შესახებ ინფორმაციები. თეატრის შესახებ ინფორმაციები თუ მსჯელობები მოიცავს მედია-ორგანოს არსებითად ყველა რუბრიკას: მეთაური წერილი, ფელეტონი, დაბა თუ სოფელი, ახალი ამბავი, თეატრის ქრონიკა.

„ივერია“ უმთავრეს ყურადღებას უთმობდა ჩვენი დაცემული ვინაობის აღდგენაზე ზრუნვას და მოუწოდებდა სრულიად ქართველობას ამ საზოგადო საქმის გარშემო დარაზმულიყვნენ: „ყოველივე საქმე, ყოველი საგანი, რაც ჩვენი ცხოვრების მიმავლობაში თავისით თუ სხვისით აღმოჩნდება, სულ ყოველისფერი ჩვენი ვინაობის საქმეს უნდა შეეჯერჩიოთ, ქვეშ დაუყენოთ. სკოლაა, ბანკია, თუ თეატრი, ყველაფერს სულ მაგისკენ უნდა მოვუბრუნოთ თავი. ვაყენებთ თუ სადმე კაცს მარშლად, თუ ბანკის გამგებლად, თუ მასწავლებლად, თუ სადმე სხვად, მაგ მიმართულების სასწორზე უნდა ავწონოთ“ („ივერია“. 1881. #5).

ზემოთ აღნიშნულ დაწესებულებებს შორის, ქართულ თეატრს განსაკუთრებული როლი უნდა შეესრულებინა ქართული იდენტობის გადარჩენისათვის ბრძოლაში. რადგან სწორედ, თეატრი წარმოადგენდა მძაფრი კოლონიალიზმის პირობებში, ნაციონალური ენის საჯარო გამოყენების ერთადერთ საშუალებას. თეატრის ამგვარი დანიშნულება თვალსაჩინოდ ჩანს თეატრის ქრონიკაში გამოქვეყნებულ რეცენზიაში, რომელიც მიეძღვნა ნათარგმნ დრამას „პარიზელი ბიჭი“ და რ. ერისთავის კომედია „ადვოკატები“. რეცენზიის ავტორი (გ. თუმანიშვილი) აღნიშნავს, რომ ქართული ენა მდიდრულად ჩანს რ. ერისთავის ნაწერებში, რომელშიც ნაკლებად ეტყობა ენას დანათესავება რუსულ და სხვა უცხო ენასთან. აქ ენას ქართული ხასიათი აქვს და ამავე ხასიათს სძენს თვით უცხო ქვეყნის თხზულებასაც. ეს ფრიად დიდი ღირსებაა ახლა ჩვენში, როდესაც სხვა მწერლის ნაწარმოებში არამც თუ ნათარგმნს, ორიგინალურს თხზულებასაც მცირედ ეტყობა ქართულობა („ივერია“. 1881. # 2).

თეატრის ამგვარი მაღალი დანიშნულების გათვალისწინებით უყურადღებოდ არ რჩება ბეჭდურ მედიას თეატრში არსებული არასახარბიელო მდგომარეობა. საგანგებო წერილებს უძღვნის თეატრში არსებული მდგო-

მარეობის გამოსწორებაზე ზრუნვას და მოუწოდებს მკითხველებს ქართული სცენის ხელშეწყობისაკენ. პუბლიკაციის ავტორი (პ.უმიკაშვილი) დრამატული საზოგადოების მიმართ სამდურავს გამოთქვამს: „ტფილისში რამდენიმე საზოგადოებაა, ყველანი ახერხებენ ღონისძიების მოპოებას, შრომას, რაღა მარტო დრამატული საზოგადოება დაიბადა ასე უილაჯო და დავრდომილი?... მთელი ტფილისის უმაღლეს და უმდაბლეს საზოგადოებას ტეატრზე აქვს მიქცეული ყურადღება, მას უჭირავს ძლიერი ადგილი ჩვენს ცხოვრებაში; აქ ერთად იყრებიან მწერალნი და მასწავლებელნი, მსოფლიო გენიოსების ნიჭნი აქ ეშლებიან სულით მშვიერ-მწყურვალეს და ღარიბს დღიურს მუშაკს; აქ ქართული ხელოვნება იზრდება და უნდა აღვიზარდოს გემოვნება, გრძნობა, სიკეთე, კეთილის სიყვარული, გონება უნდა გაგვიწმინდოს, აღვამაღლოს მუდამ დღიურის მწიკლოვანის ცხოვრებისაგან, – ეს ხელოვნების ტამარი, ეს სცენა, ეს თეატრი, ქართული თეატრი, ასე შუწვენელად თავმინებებული უნდა დარჩეს? ნუ თუ სიცოცხლის ძარღვი მართლა შეწყდა და გულმა ძგერა შეაყენა?“ („ივერია“. 1885. #1) როგორც ჩანს, პ. უმიკაშვილის კრიტიკას და დრამატული საზოგადოების ხელმძღვანელობის დაუდევრობაში დადანაშაულებას სათანადო შედეგი გამოუღია და საზოგადოების ხელმძღვანელობა შეუცვლიათ, მაგრამ იქვე გულისტკივილით შენიშნავს, რომ ამ ცვლილებას სასარგებლო შედეგი არ მოჰყოლია. ამის საფუძველს ავტორს აძლევს ახალი ხელმძღვანელობის კიდევ უფრო გულგრილი დამოკიდებულება თეატრისადმი („ივერია“. 1885. # 3). საზოგადოებრივი გულგრილობის კიდევ ერთ მაგალითზეა საუბარი 1900 წლის მე-4 ნომერში. ამ ნომერში გამოქვეყნებული წერილი „მოხსენება დრამ. საზოგ. გამგეობისა“ იუწყება, რომ თეატრის შენობის გამგეებს გადაუწყვეტიათ თეატრის გამოშვება შენობიდან და იქ უფრო შემოსავლიანი შენობის აგება. დრამატული საზოგადოების გამგეობა მიმართავს ხალხს, რომ ყველამ ერთად იზრუნონ თეატრის გადარჩენისთვის. თეატრის, რომელმაც „ნელ-ნელა იზარდა, ჩვენს ცხოვრებას ფეხ და ფეხ მიჰყვა და ქართველ ხალხში საპატიო ალაგი მოიპოვა. ქართული თეატრი დღეს მიუცილებელ მოთხოვნილებად გადაიქცა, წინსვლის ერთ ჩარხად შეიქმნა და ეს ძლიერი კულტურული ფარ-ხმალი შევიძინეთ ჩვენ უკანასკნელ 50 წელში. ასეთი საერო დაწესებულება, ასეთი გონების და ზნეობის ამამაღლებელი სკოლა, რასაკვირველია, თავის საკუთარ ბინას საჭიროებს“ („ივერია“. 1900. #4). „ივერია“-ში ხშირია საუბრები მკითხველებთან თეატრის მნიშვნელობის შესახებ:

„თეატრი ჩვენ გვიჩვენებს ჩვენი ცხოვრების კარგსა და ავს თვისებას, ღირსებას, ნაკლულევანებას, მავნებელს და სასარგებლო ხასიათებს ისე ცხადად და ისე ძლიერად, როგორც თვით ჩვენი ცხოვრებაა. თეატრი არის სწავლა-განათლების ტამარი, ჩვენი საზოგადოების სარკე, რომელშიაც ჩვენ თვითთულად თავ-თავისს სახესა, თავ-თავისს თვისებას, ხასიათსა – ცხადათა, ნათლადა, აშკარადა ვხედავთ; თეატრი ჩვენი ოსტატიც არის, მასწავლებელიც, შემაქცევარიცა და დამამშვიდებელიცა“ („ივერია“. 1885. #4,5).

აი კიდევ ერთიც. ქართული თეატრის მოკლე ისტორიული მიმოხილვით იწყება ნ. ავალიშვილის მოხსენება სადღესასწაულო კრებაზე:

„რუსეთთან შეერთების შემდეგ ქართველი ერის გონებრივი ცხოვრება წარმოადგენდა დიდი ხნის განმავლობაში მრავალის ტანჯვით მოქანცულ გმირის ძილს, თითქოს იმით დაიმედებულისას, რომ ერთი არწივის ღონიერ ფრთეთა ქვეშე ამ ძილს იმას ვერავინ და ვერაფერი დაუფრთხოვდა. გარეშე საქმეთა ვითარების გამო ამ გონებრივმა ძილმა თითქმის მთელს ნახევარს საუკუნეს გასტანა და არაფერი ზედმოქმედება არ იყო ისეთი, რომ ამ ძილისაგან გამოეფხიზლებინა იგი“. მომხსენებელი აქვე განმარტავს თუ რა როლი შეასრულა თეატრმა ქართველთა ცხოვრებაში „თეატრს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი საზოგადოებისათვის, დიდი სარგებლობა მოუტანა, მან გამოაღვიძა იგი ხანგრძლივი ძილისაგან და უფერული ცხოვრება თითქოს გააფერად-ფერადა, გადაახალისა“. ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თეატრი „ქართველი ერის მოთხოვნილებადაც გადაიქცა და ამასთან მისი მომავალი კეთილდღეობის დარაჯად და მზრუნველად თავს ადგას მას მთავრობისაგან ნება-დართული „ქართული დრამატული საზოგადოება“ („ივერია“. 1900. #5; 7).

თეატრის რუბრიკა ისევ ქართული თეატრის მიერ აღებულ არასასიამოვნო მიმართულებაზე გვიყვება (ავტორია ვალიკო-ია – ვალერიან გუნია). დიდი გულის-ტკივილით არის აღნიშნული დრამების, ვოდევილების, ტრაგიკომედიების ავტორების ერთადერთ საზრუნავად მაყურებელთა რაოდენობის ზრდა. თეატრს შესცქეროდნენ როგორც გამდიდრების წყაროს. ამ პიროვნულად სასიამოვნო ამბავს, არასახარბიელო საზოგადო შედეგი მოჰყვა. სამწუხარო ის იყო, რომ თეატრისადმი ასეთი მიდგომა გამდიდრების ნაცვლად გადატაკებას უქადდა ქართულ თეატრს, პიესების წერის ციებ-ცხელება დიდ ვნებას აყენებდა საზოგადოების ესთეტიკურ გემოვნებას („ივერია“. 1886. # 39).

ინტელექტუალურმა ჩამორჩენილობამ დააფიქრა და შეაშფოთა საზოგადოება. ნელ-ნელა იმატა საქვეყნო საქმეებისათვის დახმარების სურვილმა. ერთ-ერთ მომდევნო ნომერში ვხვდებით სასწავლებლების შემწეობისათვის გამართული წარმოდგენების შესახებ ინფორმაციას. მაგალითად, მერვე ნომერში გამოქვეყნებულია წერილი ხმა პროვინციიდან, რომელიც გვატყობინებს წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის შეწევნისათვის გორში გამართული წარმოდგენის შესახებ. ავტორი ფსევდონიმით “პროვინციალური მეთვალყურე“ (სოფრომ მგალობლიშვილი) ამავე დროს ფრიად საინტერესო საკითხსაც ეხება. სტატიაში, ერთი მხრივ, მადლიერება გამოთქმული სწავლა-განათლების შემწეობისათვის გამართული წარმოდგენების გამო, ეს თავისთავად საყურადღებო ფაქტია; მაგრამ, მეორეს მხრივ, ავტორი აღშფოთებას გამოხატავს იმის გამო, რომ ასეთი წარმოდგენების გამართვამ შეიძლება ზიანი მოუტანოს საზოგადოებრივი ცნობიერების განვითარებას, რადგან წარმოდგენებმა თავისი მაღალი დანიშნულება უნდა შეასრულოს – ესთეტიკური გრძნობათა აღზრდის როლი უნდა იკისროს თეატრმა. კონკრეტულად, ავტორის გაკიცხვის საგანია გორში წარმოდგენილი ვოდევილები, რომლებიც მხოლოდ საზოგადოების თვა-

ლის და ყურის გართობის ფუნქციას ასრულებს და, საბოლოო ჯამში, ზიანს აყენებს ამავე საზოგადოებას – იწვევს აზრისა და გონების უმომართობას და მიდინებას. ავტორი მოუწოდებს თეატრის მესვეურებს, რომ ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან აღებული სცენები წარმოუდგინონ საზოგადოებას („ივერია“. 1887. # 8).

1887 წლისათვის ქართულ სასცენო ხელოვნებას მნიშვნელოვანი ტრადიცია ჰქონდა, უკვე დადგმული იყო დ. ერისთავის სამშობლოც (1882 წელს). ასე რომ, სრულიად ბუნებრივია, რომ ივერიის კორესპონდენტს არ აკმაყოფილებს მარტოდენ ის, რომ საქველმოქმედო სპექტაკლები ქართულენოვანი იყო, მას სურს, რომ ისინი შინაარსითაც ქართული იყოს და ერის წრთობასაც ემსახურებოდეს.

ვოდვეილების და კომედიების ჟანრით თეატრის წინსვლა შეუძლებელი იყო, რასაც თავიდანვე გრძნობდა საზოგადოება და იჩენდა კრიტიკულ დამოკიდებულებას რეპერტუარის მიმართ (ქაჯაია, 2006: 20).

„მარტო ვოდვეილები ესთეტიკურ გემოს ვერ განუვითარებს ამ საზოგადოებას, საჭიროა ვოდვეილებს გარდა ისეთის პიესების დადგმაც, რომელიც მაყურებლის სულსა და გონებას რასმე ეუბნებოდეს; მის არებს ამომრავებდეს“ („ცნობის ფურცელი“. 1897. #169).

“დიდი გარდაცვლილები“ მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ ერის კონცეპტუალურიზაციის პროცესში. შესაბამისად, „ივერია“ საგანგებო ყურადღებას უთმობს გამოჩენილი მოღვაწეების გარდაცვალების ფაქტებს: მათი გარდაცვალების გარემოების აღწერას, საზოგადოების დამოკიდებულებას, დაკრძალვის ცერემონიებს (ჩხარტიშვილი, მანია, 2011: 461). ამ მხრივ, „ივერიის“ ყურადღების ცენტრში ექცევა ქართული თეატრის ამაგდარის დ. ერისთავის გარდაცვალება. გაზეთი თბილ სიტყვებს არ იშურებს მისთვის. ამბობს, რომ დ. ერისთავი „გამუდმებით სცდილობდა, აეგო ის წმინდა ტაძარი, საცა იცინიან კიდეც და სტირიან კიდეც, მხოლოდ იმიტომ, რომ განიწმინდონ ავისა და ბიწისაგან, საცა ორიც ცრემლი, სიხარულისაცა და მწუხარებისაც, უკვდავების წმინდა წყაროდამ მომდინარეობს ჩვენდა გასაადამიანებლად, ჩვენდა გასაკეთილშობილებლად... მისმა „სამშობლომ არა თუ თეატრი დააყენა ცოტად თუ ბევრად ფეხზედ, არამედ თვით საზოგადოებაც გამოაფხიზლა და რამდენისამე საფეხურით მაღლა ასწია მისი ეროვნული ცნობიერება, მისი გრძნობა მამულისმოყვარეობისა“.

„ივერიის“ მითითებით, ვისაც უნახავს ამპიქისისპირველიწარმოდგენები ან ტფილისში ან ქუთაისში და ყოფილა მოწმე მის მიერ გამოწვეული მამულიშვილური აღფრთოვანების, ყველა გულითა და სულით გლოვობდა დ. ერისთავის გარდაცვალებას („ივერია“. 1890. # 219).

ზემოთ აღნიშნულ „ივერიის“ არაერთ პუბლიკაციაში აღმრულია ქართულ საზოგადოებაში არსებული პრობლემები თეატრთან მიმართებაში. ადრინდელ, მ. ჩხარტიშვილთან თანაავტორობით გამოქვეყნებულ ნაშრომში აღვნიშნავდით, რომ „ილია და მისი „ივერია“ აშკარად ესწრაფვოდნენ საზოგადოების აღზრდას. ამ თვალსაზრისით ჩვენი ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრო ერთმა პატარა წერილმა, რომელშიც ქართულ თეატრში ხანძრის გაჩენის ფაქტის შესახებ არის საუბარი. გამომცემელთა მიერ წერილი

შესაბამისად არის დასათავსებული ხანძარი ქართულ თეატრში. სტატიაში აღწერილ აღნიშნულ ჩვეულებრივ ყოფით ფაქტში ილია ცდილობს ადამიანთა აღზრდისათვის მნიშვნელოვანი მხარე წარმოაჩინოს და ამით საზოგადოების ჩამოყალიბებას ხელი შეუწყოს. ეს ისტორია ასეთია: ცეცხლი გაჩენილა თეატრში. მართალია, საშიში არაფერი ყოფილა, ყველაფერი კარგად დამთავრებულა, მაგრამ გასაოცარი ყოფილა ამ გარკვეულად ექსტრემალურ ვითარებაში ხალხის ქცევა. პანიკა კი არ დაწყებულა, არამედ თეატრი მშვიდად დაცლილა. აი, ამითაა საოცრად აღფრთოვანებული ილია. იმდენად დიდია მისი აღთოვანება, დღეს გაკვირვებასაც კი იწვევს. მაგრამ უნდა წარმოვიდგინოთ რა ვითარება იყო მაშინ, როგორი პრობლემა იყო ადამიანების კოლექტიური ქცევა და საზოგადოებრიობა. ქვემოთ მოვიყვანთ ციტატებს, რადგან მათ გარეშე შეუძლებელია წარმოდგინოს მკითხველმა თუ რეალურად რა ემოციას ეხება საქმე. ისეა ვითარება აღწერილი თითქოს შეიარაღებულ მტერთან ომი გადაეტანოს ქართველობას. მაგრამ, ეს ჩანს, მართლაც, იყო ბრძოლა საზოგადოებრიობის მშენებლობის გზაზე, ქცევის კულტურის ჩამოყალიბების გზაზე (ჩხარტიშვილი, მანია. 2011: 489-490):

„ამ სიტყვებს “ცეცხლი გაჩნდაო” გამოუკითხველადაც თავისი ზარი აქვს და, ჩვენსა სასიამოვნოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ კვირა დღეს ამ სიტყვების ზარიც კი გაცუდდა, რაკი ქართველის კაცის გული დაჰხვდა წინ. ქართველმა აქაც იჩინა თავი და არ დაჰხვებდა შიშის ზარსა: წარბშეუხრელად, გულმაგრად, აუჩქარებლად და დაწყნარებით მიიღო უეცარი ამბავი და გულში შიში ფიქრადაც არ გაიტარა. ამ ვაჟკაცურმა გულდინჯობამ სახსარი მისცა თეატრის გამგებელთა ხალხი ისე მშვიდობით და უვნებლად გამოეწვია თეატრიდან, რომ იმოდენა ხალხში ერთი მეორეს დაჯახებითაც არ დასჯახებია. არავითარი ურიგობა, არავითარი ხმაურობა და ჟრიაშილი არ მომხდარა, ისე აუჩქარებლად და ნელ-ნელა გამოკრიბა ხალხი! აი, სწორედ ამისთანა ვაჟკაცურს აუჩქარებლობასა და სიწყნარეზედ არის ზედგამოჭრილი ნათქვამი: “ზოგჯერ სიწყნარე გმობილი სჯობს სიჩქარესა ქებულსა”. ამ ვაჟკაცურმა გულდინჯობამ და შეუდარებლობამ სწორედ გაგვაოცა და ცოდვა იქნებოდა ჩვენის მხრით, რომ შესაბამისი სიტყვით არ მოგვეხსენა. სხვამ რაც უნდა სთქვას და ჩვენ კი ამას ვიტყვი: “გულოვნის კაცის წესია/ფერხისა მაგრად დგომანი”. ანუ “ჰხამს მამაცი გულოვნობდეს/ჭირსა შიგან არ დაჰლონდეს”. რომ ჩვენები შიშს არ დაულონდნენ და გულოვანის კაცის წესს არ უმტყუნეს, კვირა დღეს ჩვენის საკუთარის თვალთა ვნახეთ ჩვენდა სასიამოვნოდ და ჩვენის საზოგადოების სასახელოდ“ (ბენაშვილი, 2007: 611-612).

მედია აქტიურად აშუქებს გამართული წარმოდგენების („ივერია“. 1893. #237), აგრეთვე, წარმოდგენების ხელშემწყობთა (ერთ-ერთი ასეთი ხელშემწყობი ყოფილა გაიანე შერვაშიძე („ივერია“. 1895. №256)) შესახებ ინფორმაციებს. ასეთი ფაქტები მისაბამი უნდა გამხდარიყო სრულიად საქართველოსთვის – ეს იყო ქართველი პუბლიცისტების უმთავრესი მიზანი.

ქართული ერთობის შინაგანი იმპულსების განმტკიცებისათვის კულტურული ელემენტების მნიშვნელობაზე მსჯელობა გრძელდება რუმ-

რიკაში „თეატრის მატრიანე“. აქ განხილულია საბენეფისოდ წარდგენილი სპექტაკლები. ამ რუბრიკაში სპექტაკლების განხილვა ინტენსიურ ხასიათს ატარებს, ზოგ მათგანს ზევით შევხვხე. ამჯერად, ავტორის (მანოელიძე) კრიტიკა ეხება პიესას „ცოლ-ქმრობის ყვავილები“, რომელიც ასახავს XV ს-ის პარიზის დუხჭირ ცხოვრებას. მართალია, „ჟურნალ-გაზეთობის“ ერთ-ერთ უმთავრეს დანიშნულებად რედაქტორი ი.ჭავჭავაძე „უცხო ხალხის ცხოვრების დაკვირვებასა და განმარტებას“ ასახელებს, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როდესაც უცხო ხალხის ცხოვრების ამსახველი პიესა, რომელიც თვით თავის სამშობლოში იქნა გაკიცხული, მაგალითად ვერ გამოგვადგება. ავტორის სიტყვებით, რომ ვთქვათ „ნერვების სალიტინებელი წარმოდგენის“ ნახვის შემდგომ მისი მაყურებელი „ბევრი სიცილით გამოწვეულ მარტო ყბების ტკივილს გრძნობს“. კორესპონდენციაში არ არის უარყოფილი უცხო პიესების სარგებლიანობა. მხოლოდ უცხო პიესა უნდა მიესადაგებოდეს ჩვენს ცხოვრებას. სტატიის დედა-აზრი მკითხველისათვის უფრო თვალსაჩინო რომ გახდეს, მაგალითად მოჰყავს მალოროსთა სცენის დიდება, რომელიც არ შორდება მალოროსთა ცხოვრებას. ჩვენი სცენა და ცხოვრება კი იმდენად ყოფილა დაშორებული ერთმანეთს, რომ თანაგრძნობას ვერ იწვევდა, შესაბამისად, ქართველ მაყურებელს ვერ მიიზიდავდა თეატრში. ეს ფაქტი ავტორის აღშფოთებას იწვევს და მოუწოდებს თეატრის წარმომადგენლობას, რომ ამ კუთხით სერიოზული დაფიქრება და მუშაობა მართებდათ. მითითებულია, რომ ჩვენი სცენა ჩვენივე ცხოვრების ავ-კარგის აღმსუსხველი უნდა იყოს, რათა ჩქარა გარდაიქცეს იგი ჩვენი ერის სულიერ და ზნეობრივ საზრდოდ. ამაში მდგომარეობს თეატრის კეთილდღეობის მთავარი აზრი, ურომლისოდაც ქართული თეატრი სასიცოცხლო ფუნქციას ვერ შეინარჩუნებდა („ივერია“. 1897. #19).

თეატრის ქართული სული კი აუცილებლად შეასრულებდა მნიშვნელოვან როლს ქართული ერთობის შეკავშირების მიზნით – ცხოვრებისეული სურათების წარმოდგენით შექმნიდა ზნეობრივად ამაღლებულ ქართულ ერთობას.

დასკვნა

ზემოთ განხილული მრავალფეროვანი პუბლიკაციები გვიდასტურებს ქართული თეატრის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ქართველობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში. წარმოდგენები იმართებოდა ქართულად, წარმოდგენის შემდეგ სადამო გრძელდებოდა ქართული ლექსების კითხვით, რაც ბლომად შეკრებილ საზოგადოებას სენტიმენტებს უღვივებდა და უძლიერებდა. გარდა ამისა, წარმოდგენები ხშირ შემთხვევაში საქველმოქმედო ხასიათს ატარებდა: ეხმარებოდნენ ღარიბ მოსწავლეებს, აგრეთვე წყალდიდობით დაზარალებულებს, სკოლისა თუ სამკითხველოს დაარსებას უწყევდნენ შემწეობას. ასეთი ფაქტები მისაბამი უნდა გამხდარიყო სრულიად საქართველოსთვის.

ამდენად, თეატრი მრავალმხრივ ეწეოდა ეროვნულ საქმეს: აჯანსაღებდა დამსწრე საზოგადოების სულს, ეწეოდა ქველმოქმედებას, ადგენდა და აკავ- შირებდა ქართულ იდენტობას.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

ilia chavchavadze, (2007) *tkhzulebani*, t. VII, teksti gamosacemad moamzad, shenishvnebi da sadziebeli daurto l. megrelshvilma tbilisi: gamomtsemloba “ilias pondi”. (ილია ჭავჭავაძე. (2007) *თხზულებანი*. VIII. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და საძიებელი დაუთო ლ. მეგრელიშვილმა. თბილისი: გამომცემლობა “ილიას ფონდი”).

chkhartishvili, m. mania, k. (2011). *nacionaluri konsolidaciis procesis asakhva bechdur mediashi iveria da misi mkikhveli saqartvelo*. tbilisi: gamomtsemloba “universalali”. (ჩხარტიშვილი, მ. მანია, კ. (2011) *ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის ასახვა ბეჭდურ მედიაში ივერია და მისი მკითხველი საქართველო*. თბილისი: გამომცემლობა “უნივერსალი”).

chkhartishvili, c. (2010). *afkhazetis teatraluri ckhovreba. akhali da uakhlesi istoriis sakitkhebi*. #1 (7). tbilisi: gamomtsemloba “universalali”. (ჩხარტიშვილი, ც. *აფხაზეთის თეატრალური ცხოვრება. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები*. #1(7). თბილისი: გამომცემლობა “უნივერსალი”).

grishashvili, i. (1948). *dzveli teatri*. tbilisi. (გრიშაშვილი, ი. (1948). *ძველი თეატრი*. თბილისი).

kikndze, v. (1978). ilia chavchavadze da teatri. *teatraluri moambe*. #2. (კიკნაძე, ვ. (1978). ილია ჭავჭავაძე და თეატრი. *თეატრალური მოამბე*. #2).

lokhishvili, r. (2013). teatris roli sazogadoebashi da misi eklesiuri shefaseba. *sami saunje*. #3, #4. (ლოხიშვილი, რ. (2013). თეატრის როლი საზოგადოებაში და მისი ეკლესიური შეფასება. *სამი საუნჯე*. #3)

qajaia, e. (2006). *kartuli teatri afkhazetshi (1885-1940)*. tbilisi: gamomtsemloba “bartoni”. (ქაჯაია, ე. (2006). *ქართული თეატრი აფხაზეთში (1885-1940)*. თბილისი: გამომცემლობა “ბარტონი”).